

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ენერგორესურსების მოხმარება საქართველოში 2023



16.12.2024

ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის შედეგები
(2023 წელი)


ოფიციალური დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, 1.0 პროცენტით გაიზარდა და 14 395.8 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა.

2023 წლის განმავლობაში მოპოვებულია 38.9 ათასი ტონა ნედლი ნავთობი (2022 წელთან შედარებით 6.3 პროცენტით მეტი), 148.0 ათასი ტონა ქვანახშირი (წინა წელთან შედარებით 1.2 პროცენტით მეტი) და 16.4 მილიონი მ³ ბუნებრივი გაზი (წინა წელთან შედარებით 12.3 პროცენტით მეტი).

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, შეშის წარმოება უმნიშვნელოდ 0.1 პროცენტით გაიზარდა და 1 114.5 ათასი მ³ შეადგინა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში 2023 წელს წარმოებული ენერგორესურსების სტრუქტურას, გაანგარიშებულს ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში. როგორც დიაგრამიდან ჩანს, წარმოების სტრუქტურაში უდიდესი წილი (77.7 პროცენტი) მოდის ელექტროენერჯიაზე. მეორე ადგილს იკავებს ბიოსაწვავი და ნარჩენებისგან წარმოებული ენერჯია (13.1 პროცენტი), რომელიც ძირითადად წარმოდგენილია შეშის სახით, ხოლო დანარჩენი სახეობის ენერგორესურსები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით ხასიათდება.

წარმოებული ენერგორესურსები, 2023 წელს
(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

16.12.2024

2023 წელს ელექტროენერჯის საბოლოო მოხმარებამ 12 268.5 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც 8.3 პროცენტით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე.


2023 წლის მონაცემებით, ბუნებრივ გაზზე მოთხოვნის მოცულობამ შეადგინა 3 368.8 მილიონი მ³ (წინა წელთან შედარებით 0.2 პროცენტით მეტი), ხოლო ბუნებრივი გაზის საბოლოო მოხმარებამ ამავე პერიოდში 2 516.3 მილიონი მ³ შეადგინა, რაც 0.5 პროცენტით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. 2022 წელთან შედარებით ბუნებრივი გაზის მოხმარება შემცირდა საგზაო ტრანსპორტში და მრეწველობის ცალკეულ დარგებში. შინამეურნეობების სექტორში ბუნებრივი გაზის მოცულობა გაიზარდა უმნიშვნელოდ, 0.4 პროცენტით.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2023 წელს ქვეყანაში მოხმარებულია 1 455.8 ათასი ტონა ნავთობპროდუქტი (წინა წელთან შედარებით 5.8 პროცენტით მეტი).

ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურაში 42.0 პროცენტი მოდის ბუნებრივ გაზზე. შედარებით მაღალი წილით ხასიათდება აგრეთვე ნავთობპროდუქტები (29.0 პროცენტი) და ელექტროენერჯია (20.5 პროცენტი). წლის განმავლობაში მოხმარებული ენერჯის 4.0 პროცენტს შეადგენს ქვანახშირი, ხოლო დარჩენილი 4.5 პროცენტი მოდის ბიოსანვავზე, გეოთერმულ და მზის ენერჯიაზე.

მოხმარებული ენერგორესურსები, 2023 წელს

(ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)




საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

16.12.2024

2023 წლის ენერგორესურსების მოხმარების სექტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელია ტრანსპორტის და შინამეურნეობების სექტორები, რომლებზეც მოდის მთლიანი მოხმარების, შესაბამისად 33.3 და 30.9 პროცენტი. რაც შეეხება სხვა დარგებს, 16.1 პროცენტი – მრეწველობის, 4.5 პროცენტი – მშენებლობის, 0.6 პროცენტი – სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის დარგებზე, ხოლო დარჩენილი 14.6 პროცენტი კერძო და სახელმწიფო მომსახურებაზე და სხვა მომხმარებლებზე ნაწილდება.

ენერგორესურსების მოხმარება სექტორების მიხედვით, 2023 წელს (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

16.12.2024

ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება საქართველოს მიხედვით 2017 - 2023 წლებში (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)

	ერთეული	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება, სულ	1000 ტნე	4 455.2	4 414.1	4 592.0	4 486.9	4 913.1	5 190.8	5 136.0
მრეწველობა	1000 ტნე	885.1	925.8	887.5	860.4	884.4	938.1	827.4
	პროცენტი	19.9	21.0	19.3	19.2	18.0	18.1	16.1
მშენებლობა	1000 ტნე	180.9	185.9	245.5	201.9	193.6	222.6	229.8
	პროცენტი	4.1	4.2	5.3	4.5	3.9	4.3	4.5
ტრანსპორტი	1000 ტნე	1 395.6	1 367.4	1 418.5	1 359.1	1 503.0	1 613.5	1 709.7
	პროცენტი	31.3	31.0	30.9	30.3	30.6	31.1	33.3
შინამეურნეობები	1000 ტნე	1 336.3	1 227.3	1 300.7	1 408.2	1 507.7	1 575.6	1 586.1
	პროცენტი	30.0	27.8	28.3	31.4	30.7	30.4	30.9
კერძო და სახელმწიფო მომსახურება	1000 ტნე	453.0	514.9	535.5	412.9	544.5	551.0	520.2
	პროცენტი	10.1	11.7	11.7	9.2	11.1	10.6	10.1
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	1000 ტნე	32.3	27.6	27.2	24.9	25.7	29.6	30.4
	პროცენტი	0.7	0.6	0.6	0.6	0.5	0.6	0.6
სხვა	1000 ტნე	172.1	165.2	177.1	219.5	254.2	260.4	232.4
	პროცენტი	3.9	3.7	3.9	4.8	5.2	5.0	4.5

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

16.12.2024

მონმარაბული ენერგორესურსები 2017 - 2023 წლებში (ათასი ტონა ნავთობის ეკვივალენტში)

	ერთეული	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ენერგორესურსების საბოლოო მოხმარება, სულ	1000 ტნე	4 455.2	4 414.1	4 592.0	4 486.9	4 913.1	5 190.8	5 136.0
ქვანახშირი	1000 ტნე	276.3	294.0	241.3	213.0	224.2	235.6	207.5
	პროცენტი	6.2	6.7	5.3	4.7	4.6	4.5	4.0
ნავთობპროდუქტები	1000 ტნე	1 297.2	1 267.4	1 379.3	1 313.3	1 391.1	1 406.3	1 487.7
	პროცენტი	29.1	28.7	30.0	29.3	28.3	27.1	29.0
ბუნებრივი გაზი	1000 ტნე	1 535.8	1 536.5	1 669.6	1 728.5	1 916.1	2 170.9	2 158.4
	პროცენტი	34.5	34.8	36.4	38.5	39.0	41.8	42.0
ელექტროენერგია	1000 ტნე	963.8	1 026.4	1 036.9	987.0	1 128.0	1 150.9	1 054.9
	პროცენტი	21.6	23.3	22.6	22.0	23.0	22.2	20.5
გეოთერმული, მზის	1000 ტნე	18.8	19.1	19.4	17.2	18.4	18.9	19.1
	პროცენტი	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4	0.4
ბიოსანვავი და ნარჩენები	1000 ტნე	363.3	270.8	245.5	227.8	235.3	208.1	208.4
	პროცენტი	8.2	6.1	5.3	5.1	4.8	4.0	4.1

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჯოლიანი, ტელ: 2 36 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge